ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და
ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

17 სექტემბერი, ხუთშაბათი, 1992 წ.
№ 55 (10 712) ● ფასი 2 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# სპეციალისტებს, სპორტის გულშემატკივრებს, „ლელოს" მკითხველებს!

მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპორტული სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად. ეს იქნება ერთი რეალური ნაბიჯი ქართული სპორტის შემდგომი განვითარების, მისი მატერიალური ბაზის განმტკიცების გზაზე.

მივმართავთ ყველას, მონაწილეობა მიიღონ სტრუქტურის შექმნაში (შემოგვთავაზეთ თქვენი ვარიანტი), ამ რგოლისთვის სხარტი, ეროვნული სულის შემცველი სახელწოდების შერჩევაში ემბლემის, დროშის, საერთოდ, ატრიბუტიკის შექმნაში. სახელწოდება უმჯობესია, იყოს ერთსიტყვიანი.

თქვენი წინადადებები და ატრიბუტიკის ესკიზები გამოაგზავნეთ „ლელოს" რედაქციაში (თბილისი, 96, კოსტავას 14).

საინიციატივო ჯგუფი

# მარტომ კი ყველას აჯობა...

**ბელგიის** ქალაქ ლუვენაში გაიმართა ნორჩ ჩოგბურთელთა (12 წლამდე ასაკის) საერთაშორისო გუნდური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ, ინგლისის, დანიის, ესპანეთის, საფრანგეთის, საქართველოს და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები — სულ ცხრა გუნდი. ასპარეზობა ჩატარდა წრიული სისტემით: თითო კოლექტივი 8 შეხვედრას ატარებდა.

ინდივიდუალურ ჩათვლაში აბსოლუტური შედეგი აჩვენა თბილისის 53-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლემ, 11 წლის ირაკლი ლაბაძემ, რომელმაც ყველა პირველი ნომერი ჩოგბურთელი დაამარცხა. ამ წარმატებისთვის მას გადაეცა შეჯიბრების საუკეთესო მოთამაშის პრიზი. გუნდურ ასპარეზობაში ჩვენი ნაკრები პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა.

# პირველი მატჩები

**როგორც** ცნობილია, საქართველოს კალათბურთელები ევროპის საკლუბო ტურნირების მატჩებს ცალკე კალენდარით ატარებენ. პირველი ტურის შეხვედრები სხვა გუნდებისთვის უკვე ჩატარდა. გთავაზობთ ჩემპიონთა ტურნირის შედეგებს:

ცსკა (რუსეთი) — „დენ ჰედლერი" (ჰოლანდია) 95:94, „ზალაეგერშეგი" (უნგრეთი) — „ბუდიველნიკი" (უკრაინა) 79:86, „ქალგირისი" (ლიტვა) — „სმელტ-ოლიმპია" (სლოვენია) 80:74, „კალევი" (ესტონეთი) — „კინგსტონი" (ინგლისი) 80:75, „ბაიერი" (ლევერკუზენი, გერმანია) — იბკ (ისლანდია) 130:100, „სკანია" (შვეცია)— „მაეს პილსი" (ბელგია) 86:93, „უნივერსიტატია" (კლუჟი, რუმინეთი) — უსკა (პრაღა, ჩეხეთ-სლოვაკეთი) 59:85.

**დებიუტი** ევროპის სარბიელზე წარუმატებელი გამოდგა — თბილისის „მერანის" კალათბურთელებმა კორაჩის თასის გათამაშების ორივე სასტარტო შეხვედრა დათმეს სტამბულში, ადგილობრივ „ფენერბახჩესთან" — 78:108 და 68:103. თუ რატომ ჩატარდა ორივე მატჩი თურქეთში, კალათბურთის გულშემატკივრებმა კარგად იციან. მიზეზი საქართველოში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა გახლავთ. ესე იგი, მიზეზი დროებითია და „მერანის" კალათბურთელებს მომავლისთვის აქვთ გარკვეული სტიმული, ოღონდ საჭიროა სათანადოდ მომზადება — ევროპული დონე მაინც სხვაა და იგი პროფესიონალიზმს მოითხოვს.

უფრო დაწვრილებით ამ ორივე მატჩის შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ვისაუბრებთ.

# უჭირთ ფეხბურთელებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა ცხოვრებაში ბოლო ხანებში ორგანიზაციული ცვლილებები მოხდა. კლუბის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება დაევალა ვ. ისელიძეს, რომელიც ამავე დროს სპორტული კლუბის (ყოფილი „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო) თავმჯდომარის მოადგილეა. ორგანიზაციული სიძნელეების გარდა, კლუბი როგორც ირკვევა, ფინანსური პრობლემების წინაშეც დგას. ახლახან „დინამოს" საფეხბურთო კლუბმა წერილით მიმართა საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ფინანსური დახმარების თხოვნით. წერილი განიხილა ამ სამინისტროს კოლეგიამ და შეშფოთება გამოთქვა კლუბის მატერიალური გაჭირვების გამო. გადაწყდა კოლეგიამ ამ კლუბში შექმნილ პრობლემებზე უახლოეს პერიოდში მოისმინოს ვრცელი ინფორმაცია.

მართლაც, დადგა დრო ერთხელ და სამუდამოდ გაეცეს პასუხი ბევრ კითხვას, კომპლექსურად მოგვარდეს ყველა პრობლემა.

◆

## გივი ჩიქვანაია წავიდა, ლერი გოგოლაძე მოვიდა

თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა მთავარმა მწვრთნელმა კიდევ ერთხელ დაუქნია ხელი საქართველოს. ისე, რომ არავინ გაუფრთხილებია, გ. ჩიქვანაიას ჰოლანდიის ერთ-ერთ კლუბთან გაუფორმებია ხელშეკრულება. „დინამოს" ახალ მთავარ მწვრთნელად კლუბმა აირჩია წარსულში ცნობილი წყალბურთელი ლერი გოგოლაძე.

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

# თავდაცვის ფონდში

საქართველოს განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის თანამშრომლებმა ხელფასიდან 25 ათასი მანეთი გადარიცხეს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში.

◆

# ვაჟებზე უკეთ...

ეს ორი ტურნირი, რომლებშიც საქართველოდან გამოდიოდნენ ნინო გურიელი, ზურაბ სტურუა და გენადი ზაიჩიკი, საბერძნეთის პატარა ქალაქებში: კომოტინსა და კატერინში ერთმანეთის მიყოლებით გაიმართა, რანაც დაიწყო 15 აგვისტოს და დამთავრდა 3 სექტემბერს. კომოტინის შეჯიბრებას საერთაშორისო ტურნირის სტატუსი ჰქონდა, კატერინის ტურნირს კი საბერძნეთის ღია ჩემპიონატისა. ორივეს შედეგები ჯამში კვალიფიცირდებოდა, როგორც „გრან პრი" — „მაკედონია-92".

ნინო გურიელმა, როგორც პირველ, ისე მეორე შეჯიბრებაში, ცხრა შესაძლებლიდან 5,5 ქულა მოაგროვა. ჯამში 11, რაც, რა თქმა უნდა, მაღალი შედეგია, თუ გავითვალისწინებთ ტურნირის მონაწილე მოჭადრაკეთა კვალიფიკაციას (22 საკმაოდ ცნობილი და ავტორიტეტული დიდოსტატი). ისიც უნდა ვთქვათ, რომ ნინომ ცალ-ცალკე ორივე ასპარეზობაში ვაჟთა საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ჩვენი მოჭადრაკის მაჩვენებელი (11 ქულა) მეორე შედეგი აღმოჩნდა ქალებში. პირველი (0,5 ქულით უკეთესი) ჰქონდა ბულგარელ მარგარიტ ვოისკას.

ზურაბ სტურუამ პირველ ტურნირში 6 ქულა მოაგროვა, მეორეში — 6,5, ჯამში — 12,5. მას ნახევარი ქულით აჯობა გენადი ზაიჩიკმა (6,5 და 6,5), „გრან პრი" კი ესტონელმა დიდოსტატმა იაან ელვესტმა მოიგო — 14,5 ქულა.

აბიტურიენტებს კიდევ ერთი არჩევანი

# თბილისში კიდევ ერთი უნივერსიტეტი გაიხსნა

... დღეს ველარავის გააკვირვებ — ძალზე მომრავლდა ნაირნაირი უნივერსიტეტები, ინსტიტუტები, კოლეჯები და სასწავლებლები. ზოგი ერთმანეთის დუბლირებაა, მეორდება ფაკულტეტები, სპეციალობები, საგნები...

ამ მხრივ „თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი" ბედნიერ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს — საყოველთაოდ ცნობილ და მეტნაკლებად გავრცელებულ სპეციალობათა გვერდით, როგორებიცაა ფილოლოგია (ქართული, რუსული, ბერძნული, თურქული, ებრაული, აგრეთვე დასავლეთ-ევროპული ენები), სახვითი ხელოვნება (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება) და ხელოვნებათმცოდნეობა, აქ მომზადდებიან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები ისეთ სპეციფიკურ დარგებში, როგორებიცაა ასტროლოგია, თეოლოგია და აღმოსავლური ორთაბრძოლის ხელოვნება. სწორედ ამ სიახლეთა შესახებ გვესაუბრება ჩვენი გაზეთის მუდმივი ავტორი, „თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის" აღმოსავლური ორთაბრძოლების ფაკულტეტის დეკანი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, შავი ქამრის მფლობელი იური ყენაშვილი.

● **იური, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთ სპეციალისტებს ჩვენში არც ერთი ინსტიტუტი არ ამზადებს.**

— მართალი ბრძანდებით. მაგრამ არა მარტო ჩვენში — ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზეც. არის სექციები, სკოლები, რომლებსაც ხშირად მაღალკვალიფიციური ოსტატები ხელმძღვანელობენ, მაგრამ უმაღლესი სასწავლებელი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მრავალწლიანი პროგრამით, ვიმეორებ, არსად არსებობს.

● **ხომ ყველასათვის ცხადია, რომ თავისუფლება, სულიერი და ფიზიკური ბრძოლისუნარიანობა, როგორც ცალკეული პიროვნებისა, ისე მთლიანად ერისა, ერთმანეთისაგან განუყოფელი ცნებებია...**

— დიახ. ეს ყველა დროის უნივერსალური ჭეშმარიტებაა. ასე იზრდებოდნენ და იწრთობოდნენ ქართველები საუკუნეთა განმავლობაში. მაგრამ იმპერიას, განსაკუთრებით ტოტალიტარულ რეჟიმს, მოგეხსენებათ, მორჩილი, თვინიერი, ადვილად სამართავი მოქალაქე სჭირდებოდა და ამიტომ ათწლეულების განმავლობაში ჩაგვჩიჩინებდნენ, რომ ჩვენ საომარ-საბრძოლველი აღარაფერი გვქონდა. გაიხსენეთ მთე-

იხ. გვ. 2 გვ.

## რა ხდება ქვეყანაზე

● **იტალიის** „გრან-პრი" — „ფორმულა-I"-ის მეცამეტე ეტაპი — ბრაზილიელმა ავტომობილისტმა აირტონ სენამ მოიგო. არადა, რბოლას საკმაოდ დიდხანს ლიდერობდა ინგლისელი ნაიჯელ მენსელი, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონის წოდება უკვე განაღდებული აქვს. მაგრამ ერთ-ერთ წრეზე ინგლისელს დაუზიანდა მანქანა და რბოლას გამოეთიშა. 39 წლის მენსელმა განაცხადა, რომ 1992 წლის სეზონის დამთავრების შემდეგ უარს იტყვის ამ შეჯიბრებაში გამოსვლაზე და შესაძლოა შტატებში გადასახლდეს.

● **ფიშერ-სპასკის** მატჩზე აკრედიტებულმა გაზეთების „ტრუდისა" და „სპორტექსპრესის" კორესპონდენტებმა თავიანთი რედაქციების სახელით ოფიციალურად მიიპატიჟეს ამერიკელი დიდოსტატი და მისი 19 წლის საცოლე ზიტა რაიჩანი მოსკოვში. ფიშერთან საუბრის დროს წამოიჭრა საკითხი გარი კასპაროვთან მისი მატჩის მოწყობის შესახებ. მაგრამ ამერიკელმა დიდოსტატმა მაშინვე წამოაყენა პირობა: გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა" უნდა გადაუხადოს 100 ათასი დოლარი იმ წიგნის დაბეჭდვისათვის, რომლის თარგმანზე უფლება ფიშერს არ მიუცია.

● **აშშ-ის** ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში ქალთა შორის იუგოსლაველმა მონიკა სელეშმა მოიგო, ვაჟებში კი უძლიერესი გახდა შვედი სტეფან ედბერგი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნახევარფინალში შვედი ჩოგბურთელისა და ამერიკელი მაიკლ ჩანგის ორთაბრძოლა 5 საათსა და 26 წუთს გაგრძელდა, რაც ამ ტურნირების ისტორიაში სარეკორდო დროა. ვაჟთა წყვილებში გაიმარჯვეს: ჯიმ გრეიმა და რიჩი რენებერგმა (ორივე — აშშ), ქალთა წყვილებში — ჯიჯი ფერნანდესმა (აშშ) და ნატალია ზვერევამ (ბელარუსი), შერეულ წყვილებში კი — ნიკოლ პროვისმა და მარკ ვუდფორდმა (ორივე — ავსტრალია)

## რა ხდება ქვეყანაზე

# თბილისში კიდევ ერთი უნივერსიტეტი გაიხსნა

(დასასრული)

ლი ერთი საუკუნის განმავლობაში ქართველები ჯარშიც კი არ მიჰყავდათ. ერის ერთი უდიდესი ნაწილი შინაგანად მოეშვა და სოციალურად ინდიფერენტული გახდა (რამაც ილიას თავისი „ბედნიერი ერი“ დააწერინა), მეორემ კი, უფრო მცირე ნაწილმა, თავისი საბრძოლო შემართება კრიმინალური და პოლიტიკურ-ტერორისტული საქმიანობისაკენ მიმართა.

**● თქვენს ადრინდელ პუბლიკაციებში მიუთითებდით, რომ აღმოსავლური ორთაბრძოლები არამარტო ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური წრთობის შესანიშნავი საშუალებაცაა...**

— კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით დადასტურდა, რომ აღმოსავლური ორთაბრძოლები არის ფსიქოფიზიკური ტრენინგის უნივერსალური სისტემა. იგი ერთნაირად გამოსადეგია ყველა ასაკის, ნებისმიერი სპეციალობის, ორივე სქესის ადამიანთათვის. აღმოსავლეთ აზიელები (იაპონელები, კორეელები და სხვ.) თავიანთ სწრაფ წინსვლასა და დიდ მიღწევებს ეკონომიკის, მეცნიერების, ხელოვნებისა და სოციალურ სფეროებში სწორედ საბრძოლო ხელოვნებასთან აკავშირებენ.

**● ესე იგი, აღმოსავლურ ორთაბრძოლათა განვითარებით მთელი საზოგადოება ყოფილა დაინტერესებული.**

— ასეა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში და, ჩემი აზრით, სასურველია ასეთივე საყოველთაო დაინტერესება გაჩნდეს ჩვენში.

**● კონკრეტულად რა კვალიფიკაციის სპეციალისტებს მოამზადებთ?**

— დიპლომში მითითებული იქნება კვალიფიკაცია: აღმოსავლურ ორთაბრძოლების ოსტატი, მწვრთნელ-პედაგოგი, ასტროლოგი, აღმოსავლური მედიცინის მცოდნე. სტუდენტმა თავად უნდა აირჩიოს შესასწავლად ორთაბრძოლის თითო აუცილებელი გარე და შიგა სტილი: კარატე-დო (დონგ-დიპი, გოჯუ რიუ), კობუ დო, აიკი დო, ცი გუნი, უსინ ციუანი (შაოლინ ციუანი), თაი ძო ციუანი, ჩან ციუანი, ცზიუ-ციუანი; შეისწავლოს მედიცინის საფუძვლები: ჩინური — ჩჟენ-ციუ, იაპონური — შიაცუ და ტიბეტური — ჩჟუდში; ევროპული და აზიური ასტროლოგია, რომელზედაცაა დაფუძნებული როგორც აღმოსავლური ორთაბრძოლის ხელოვნება, ისე მედიცინაც. სწავლება, რა თქმა უნდა, ფასიანია და ხუთ წელიწადს გრძელდება. გვექნება ქართული და რუსული სექტორები. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ იმუშაონ ეროვნულ არმიაში, შინაგან ჯარებსა და პოლიციაში ინსტრუქტორებად, საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებად, სპორტულ ფსიქოლოგებად, ხელი მოჰკიდონ თავისუფალ ასტროლოგიურ და სამედიცინო-სამკურნალო პრაქტიკას.

**● საერთოდ, უმაღლესი სასწავლებლების ცალკეულ სპეციალობებს, ფაკულტეტებს რაღაც საერთო მიმართულება, საერთო სპეციფიკა აერთიანებთ ხოლმე...**

— „თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ დამფუძნებლებს ჩაფიქრებული გვაქვს მომავალი წლიდან ჩვენს უნივერსიტეტთან ჩამოვაყალიბოთ „აღმოსავლეთ-აზიური ინსტიტუტი“, სადაც სპორტული ფაკულტეტის გარდა, იქნება ჟურნალისტიკის, ეკონომიკის, სამართლისა და პოლიტოლოგიის ფაკულტეტები. ინსტიტუტი მოამზადებს ნიადაგს აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან ისეთივე ყოვლისმომცველი კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობებისათვის, როგორიც დღეს უკვე მყარდება ევროპისა და ამერიკის მოწინავე ქვეყნებთან. ქართველები შედარებით უკეთ ვიცნობთ დასავლეთისა და ახლო აღმოსავლეთის კულტურას, ხოლო აღმოსავლურ-აზიურ კულტურას კი — ნაკლებად. ამაში, ჩემი აზრით, „დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ ფაკულტეტები მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევენ.

**● და ბოლოს: სად შეუძლიათ კონკრეტული ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს?**

— ჩვენს სარეკლამო განცხადებებში, რომლებიც გამოკრულია ქალაქში, გამოქვეყნებულია გაზეთებში „თბილისი“ და „ვეჩერნი ტბილისი“. საბუთების მიღება დაწყებულია, გასაუბრება კი მოეწყობა ოქტომბრის შუა რიცხვებში. ჩვენი ტელეფონია 96-36-27.

ხმა მიაწვდინეთ მსოფლიოს 122 ქვეყანას

**გაზეთი** „სოვეტსკი სპორტი“ — ეს მხოლოდ ინფორმაცია როდია ქულების, თამაშების შესახებ, მხოლოდ ნაამბობი როდია გამოჩენილ სპორტსმენებზე, არამედ საუკეთესო საშუალებაა საქონლისა და მომსახურების რეკლამისათვის, მათ შორის ისეთისაც, რომელსაც სპორტთან კავშირი არა აქვს.

თუ გსურთ, რომ თქვენი პროდუქციის შესახებ შეიტყონ მსოფლიოს 122 ქვეყანაში, სადაც კითხულობენ ამ გაზეთს, მაშინ მოათავსეთ რეკლამა მის ფურცლებზე.

ბიზნესმენებო, წარმოებებისა და კოოპერატივების ხელმძღვანელებო, დაინტერესებულო პირებო, მოგვმართეთ შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი 96, კოსტავას 14. „ლელო“. დაგვირეკეთ ტელეფონით: 99-56-14.

გელოდებით 11-დან 14 საათამდე ყოველდღე, გარდა შაბათისა და კვირადღისა.

პოსტ ფაქტუმ

## ოლიმპიური მოზაიკა

**ბარსელონის** ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა თამაშებზე აკრედიტებული ჟურნალისტების კარიკატურა წარწერით: „მომავალი ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობა უნდა მიიღონ ჟურნალისტებმაც“. მაგრამ ბარსელონის მაგალითზე ეს, როგორც ჩანს, შეუძლებელი იქნება — არავინ ისურვებს უყუროს 14 ათასი ჟურნალისტის (ისინი სწორედ ამდენნი იყვნენ ოლიმპიადაზე) მოსაწყენ აღლუმს.

ცხელოდა ბარსელონაში...

**XXV ოლიმპიური** თამაშების მომზადებაში მონაწილეობა მიიღო 118 ათასმა კაცმა. მანამდე რეკორდი ეკუთვნოდა მოსკოვის ოლიმპიადას (1980 წელი) და იგი 100 ათასი კაცით განისაზღვრებოდა. მაშინ ორგანიზაციაში დასაქმებულთა ასეთ დიდ რაოდენობას საბჭოთა ხელმძღვანელების უთავობით ხსნიდნენ, მაგრამ, როგორც ეტყობა, მთლად ასე არ ყოფილა საქმე.

**ოლიმპიურ** სუვენირთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ტრანსპორტის ორკვირიანი სამგზავრო ტალონი 20 დოლარის ღირებულებით. მასზე აღბეჭდილი იყო კობი, რომელიც საჭირო რჩევა დარიგებას აძლევდა მგზავრს. ეს სუვენირიც კობის ავტორ ხავიერ მარისკალის მიერ იყო შესრულებული.

**თამაშების** საინფორმაციო სამსახური უამრავ საინტერესო ცნობას აწვდიდა ჟურნალისტებს. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, ოლიმპიური სოფლიდან ყოველდღიურად იმდენი ნაგავი გაჰქონდათ, რამდენიც მუნიციპალურ სამსახურს მთელი „დანარჩენი“ ბარსელონიდან.



**ოლიმპიადის დღეებში სხვადასხვა ორიგინალური ტრანსპორტი ემსახურებოდა მონჟუიკის ერთმანეთთან ახლომდებარე სპორტულ ბაზებს და ოლიმპიურ სოფელს. ამ ტრანსპორტით სხვებთან ერთად სარგებლობდა ესპანეთის დედოფალი სოფია (უკანა რიგში მარჯვნიდან პირველი).**

**როგორც** ცნობილია, XXV ოლიმპიადის კულტურული პროგრამა, რომელშიც შედიოდა მუსიკალური ფესტივალები, გამოფენები და თეატრალური პრემიერები, დაიწყო ჯერ კიდევ გაზაფხულზე. თამაშების პერიოდში კი ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ელტონ ჯონის კონცერტები.

**ყველაზე დიდი** „სამკერდე ნიშნების ბაზარი“ განლაგებული იყო კატალონიის მოედანზე. აქ ათასობით მოყვარული ცვლიდა ერთმანეთში ნიშნებს. ყველაზე მცირე მოთხოვნილება იყო გაერთიანებული გუნდის სამკერდე ნიშნებზე.

**როგორც** უკვე გაუწყეთ, ბარსელონაში ოლიმპიადის მსვლელობისას მინსკში გაქურდეს ტანვარჯიშში ოლიმპიური ჩემპიონის ვიტალი შჩერბოს ბინა.

ბელარუსის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თხოვნით მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს, ყველა ზომას მიმართონ ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად და, ვისაც კი რაიმე ინფორმაცია გააჩნია, ხელი შეუწყოს ქურდების გამოვლენას.

მაგრამ მძარცველებს ჯერჯერობით ვერ მიაგნეს. მინსკის გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ მოპარული ქონება კომერციული ფასით შეფასებულია 5 მილიონ მანეთად.

# კასპაროვი, ივანჩუკი, კარპოვი... აზმაიფარაშვილი

### გადავხედოთ ახალ „რეიტინგ-ლისტს“

**ფიდემ** ყველა საჭადრაკო ფედერაციას გაუგზავნა „რეიტინგ-ლისტი“ (ძალთა შედარებითი ნუსხა) წლის მეორე ნახევრისთვის. ეს სია სავალდებულო იქნება 1993 წლის 1 იანვრამდე. ტურნირების ორგანიზატორებმა მისი გათვალისწინებით უნდა მოაწყონ შეჯიბრებები.

„რეიტინგ-ლისტში“ პირველ ადგილს კვლავინდებურად მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი (რუსეთი) ინარჩუნებს, რომელსაც ახლა 2790 პუნქტი აქვს. წელს კასპაროვმა სულ 31 პარტია ითამაშა და თავისი მონაცემები 10 მაჩვენებლით გააუმჯობესა.

წლის დამდეგისათვის მეორე ადგილზე იყო ანატოლი კარპოვი (რუსეთი), რომელიც შემდეგ ბევრს თამაშობდა (41 პარტია), მაგრამ მთლიანობაში საკმაოდ მარცხიანად და 10 პუნქტი დაკარგა. ამის შედეგად მან მესამე ადგილზე გადაინაცვლა, მეორე კი ვასილი ივანჩუკს (უკრაინა) „დაუთმო“. ივანჩუკს ისეთივე მაჩვენებელი აქვს (2720), როგორც ადრე და კარპოვს (2715) ოდნავ უსწრებს.

ძალიან ბევრს (57 პარტია) და წარმატებით თამაშობდა 20 წლის რიგელი ალექსეი შიროვი, საინტერესოა, რომ მან 55 პუნქტი მოიმატა და ახლა მსოფლიოში მეოთხეა (2710). მეხუთე გახლავთ 22 წლის ინდოელი ვისვანათჰან ანანდი (2690) — ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მოჭადრაკე მსოფლიოში. პირველ ათეულში შედიან, აგრეთვე, ბორის გელფანდი (ბელარუსი) — 2685, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი, ინგლისელი ნაიჯელ შორტი — 2680, ევგენი ბარეევი (რუსეთი) — 2670, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ჰოლანდიელი იან ტიმანი — 2665 და ვალერი სალოვი (რუსეთი) — 2655. ასეთივე მაჩვენებელი — 2655 აქვს გატა კამსკის (აშშ). მე-12-13 ადგილებზე არიან: არტურ იუსუპოვი და ლევ პოლუგაევსკი (ორივე — რუსეთი) — 2640; 14-17. ლეონიდ იუდასინი, ალექსანდრე ხალიფმანი (ორივე — რუსეთი), იან ელვესტი (ესტონეთი) და კურტ ჰანსენი (დანია) — 2635; 18-19. ვლადიმირ ეპიშინი (რუსეთი) და რობერტ ჰიუბნერი (გერმანია) — 2630, 20-27. მიხაილ გურევიჩი (ბელგია). იეროენ პიკეტი (ჰოლანდია), ერიკ დობრონი (გერმანია), ლარი კრისტიანსენი (აშშ), ვლადიმირ კრამნიკი, რუსტემ დაუთოვი (ორივე — რუსეთი), პრედრაგ ნიკოლიჩი, ივან სოკოლოვი (ორივე — იუგოსლავია) — 2625, 28-29. სიმენ აგდესტეინი (ნორვეგია), ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო — 2620).

1 იანვრისთვის აზმაიფარაშვილი 2610 პუნქტით 30-ე იყო. წლის პირველ ნახევარში მან 11 პარტია ითამაშა (რაც თავისთავად ძალიან ცოტაა) და მაჩვენებელი გაიუმჯობესა. ამას წინათ მან მოიგო ტურნირი ესპანეთში და იანვრისთვის წინ უნდა გადაინაცვლოს.

30-31-ე ადგილებს იყოფენ რაფაელ ვაჰანიანი (სომხეთი) და ალექსეი ერმოლინსკი (აშშ) — 2615, 32-37. იოსებ დორფმანი (საფრანგეთი) მაიკლ ადამსი (ინგლისი), ბორის გულკო (აშშ), ზოლტან რიბლი (უნგრეთი), სერგეი დოლმატოვი (რუსეთი), კირილ გეორგიევი (ბულგარეთი) — 2610,

38-41. ანდრეი სოკოლოვი (რუსეთი), იასერ სეირავანი (აშშ), ენრიკე მეკინგი (ბრაზილია), ულფ ანდერსონი (შვეცია) — 2605, 42-46. ვლადიმერ აკოფიანი (სომხეთი), მიგელ ილესკასი (ესპანეთი), ალექსანდრე ჩერნინი (უნგრეთი) ლემბიტ ოლი (ესტონეთი) 2600.

ამით მთავრდება ექსტრაკლასის დიდოსტატთა ჩამონათვალი. საქართველოს წამყვანი მოჭადრაკეების მონაცემებსაც გადავხედოთ: ზურაბ სტურუა — 2545, ელიზბარ უბილავა — 2540, თამაზ გიორგაძე — 2530, გია გიორგაძე 2525, ედუარდ გუფელდი — 2485, ლაშა ჯანჯღავა — 2485, გენადი ზაიჩიკი — 2475 და ა. შ.

ახლა ზოგი რამ ქალების შესახებ.

კვლავ პირველ ადგილზეა 16 წლის იუდით პოლგარი (უნგრეთი). წლის პირველ ნახევარში იგი ბევრს თამაშობდა (40 პარტია!), მაჩვენებლები 25 პუნქტით გაიუმჯობესა და ახლა 2575 აქვს, უახლოესი მეტოქეები მან საგრძნობლად ჩამოიტოვა. თუ ასე გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, რომ იუდითი გახდება პირველი ქალი, ვინც ვაჟი ექსტრაკლასის დიდოსტატის შედეგსაც (2600) მიაღწევს.

იანვრისთვის მეორე-მესამე ადგილებს პია კრამლინგი (შვეცია) და უფროსი პოლგარი — ჟუჟა იყოფდნენ. კრამლინგს იმდენივე — 2530 პუნქტი დარჩა. ჟუჟამ კი მეორე ადგილზე გადაინაცვლა (2540). მეოთხეა მაია ჩიბურდანიძე, რომლის მაჩვენებლები თანდათან უმჯობესდება. იანვართან შედარებით მან 20 პუნქტით მოიმატა — 2505. ისევე, როგორც იანვარში, შედეგით — 2480 მეხუთეა მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი სიე ჯუნი (ჩინეთი). მეათედან მეექვსე-მეშვიდე ადგილებზე გადაინაცვლა შუათანა პოლგარმა — სოფიამ (2445). ზუსტად ასეთივე მაჩვენებელი აქვს ნანა იოსელიანს. მე-8-10 ადგილებს იყოფენ ნონა გაფრინდაშვილი, ქეთევან არახამია და სვეტლანა მატვეევა (რუსეთი) — 2435.

ცოტა გავაგრძელოთ ეს სია: 11. ირინა ლევიტინა (აშშ) — 2415, 12. ილდიკო მადლი (უნგრეთი) — 2410, 13. ელენა დონალდსონ-ახმილოვსკაია (აშშ) 2405, 14. ალისა გალიამოვა-ივანჩუკი (უკრაინა) — 2400, 15. ალისა მარიჩი (იუგოსლავია) — 2390, 16. ვესნა ბასაგიჩი (იუგოსლავია) — 2390, 17. ჟულია დიომინა (რუსეთი) — 2385, 18. აინურ სოფიევა (აზერბაიჯანი) — 2385, 19. ანა ახშარუმოვა (აშშ) 2385, 20. ნინო გურიელი — 2375.

ქეთევან კახიანი 2360 პუნქტით ამ სიაში ოცდამეშვიდეა.

გაცნობებთ სხვა ჩვენი მოჭადრაკე ქალების მაჩვენებლებსაც: ნანა ალექსანდრია — 2300, ნინო ხურციძე — 2235, ნათია ჯანჯღავა — 2230, ციალა ქასოშვილი — 2220, ქეთევან მელაშვილი — 2195, თამარ ხმიადაშვილი — 2190, თეა ლანჩავა — 2185, თამილა მესხი — 2175 და ა. შ.

ერთი ცნობაც: 1 იანვრის „რეიტინგ-ლისტში“ აღდგენილი იქნება რობერტ ფიშერი, რომლის რეიტინგი 1972 წლისთვის 2780 იყო. ბორის სპასკისთან გამარჯვების შემთხვევაში იგი კვლავ სათავეში მოექცევა ცხრილს.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

# როგორიც ცხოვრებაა...

**საქართველოს** მეოთხე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში „აღმართს შეუდგა". უკვე ნათამაშევია ექვსი ტური. როგორც მოსალოდნელი იყო, ლიდერი კვლავ საქართველოს სამგზის ჩემპიონი და ეროვნული თასის მფლობელი თბილისის „დინამოა", გუნდი, რომელიც თამაშის კლასით გაცილებით აღემატება მეტოქეებს. მიმდინარე გათამაშებაში დინამოელებმა ჯერჯერობით ქულათა მაქსიმუმი — 15 — მოაგროვეს. მეექვსე ტურში თბილისში მათ მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ზუგდიდის „ოდიში" (ბურთი რეზო არველაძემ გაიტანა).

სუსტად გამოდიან წელს გასული ჩემპიონატის მეორე პრიზიორი სოხუმის „ცხუმი", ლანჩხუთის „გურია" და ქუთაისის „ტორპედო". „ცხუმის" ამგვარი თამაში, ცხადია, აფხაზეთში მიმდინარე რთული ვითარებით აიხსნება. სოხუმელ ფეხბურთელებს არათუ კარგად მომზადების საშუალება არა აქვთ, არამედ თავადაც უწევთ ბრძოლა და, როგორც ერთ დროს სახელგანთქმულ ბასკ ფეხბურთელებს, ფრონტიდან ხშირად პირდაპირ მწვანე მინდორზე გასვლა. ვერაფრით ახარებს თავის გულშემატკივრებს „გურიაც". სეზონის წინ გუნდი 13-მა ფეხბურთელმა დატოვა, მათ შორის 9 (!) ძირითადი შემადგენლობის წევრი იყო. ახალგაზრდა ფეხბურთელებს ჯერჯერობით უჭირთ გამოცდილ მეტოქეებთან ბრძოლა.

სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს წყალტუბოს „სამგურალის" თამაში. მან სტუმრად დაამარცხა „მრეტები" (2:0) და რუსთავის „გორდასთან" ერთად გათამაშების ცხრილში მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. წინა ჩემპიონატთან შედარებით უკეთ ათამაშდნენ თბილისის „შევარდენი-1906", ფოთის „კოლხეთი-1913" და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, გურჯაანის „ალაზანი". ეს უკანასკნელი მესამე ჩემპიონატში ლამის გამოემშვიდობა უმაღლეს ჯგუფს, ახლა კი სოლიდური შევსება მიიღო და გაცილებით ძლიერად გამოიყურება. VI ტურში გურჯაანელებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ზესტაფონის „მარგვეთი" (ო. კორღალიძე-2, დ. ნეფარიძე, ი. ნასუაშვილი). თელავის „კახეთმა" და ხაშურის „იბერიამ" ბოლო ტურში, როგორც იქნა, მოიპოვეს პირველი გამარჯვება — შინ დაამარცხეს: თელაველებმა — ხობის „კოლხეთი" 7:1, ხაშურელებმა — გალის „მზიური" — 4:2.

ამავე ტურში „სამტრედიამ" სძლია ქუთაისის „ტორპედოს" 2:1, რუსთავის „გორდამ" — ლანჩხუთის „გურიას" 3:1, ფოთის „კოლხეთი-1913"-მა — „ცხუმს" 5:1, „შევარდენი-1906"-მა გორის „დილას" 3:1, ოჩამჩირის „ამირანისა" და „ბათუმის" შეხვედრა გადაიდო.

ბომბარდირთა დავაში 7 გოლით ლიდერობს „სამგურალის" ფორვარდი, 36 წლის მერაბ მეგრელაძე. 6-6 ბურთით მას კვალში მისდევენ ივანე ჯუღელი („მარგვეთი"), შოთა არველაძე („დინამო") და ვარლამ კილასონია („გორდა").

დღეს, 17 სექტემბერს, მორიგ ოფიციალურ ამხანაგურ მატჩს გამართავს საქართველოს ნაკრები. — გურჯაანში უმასპინძლებს აზერბაიჯანის გუნდს. მატჩი 16 საათზე დაიწყება.

◆

**გაიმართა** საქართველოს ეროვნული თასის მესამე გათამაშების კენჭისყრა, მეთექვსმეტედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „სიონი" (ბოლნისი) — „არმაზი-90" (თბილისი), „მერანი" (თბილისი) — „ბათუმი", „იბერია" (ხაშური) — „დილა" (გორი), „არმაზი" (მცხეთა) — „სამტრედია", „გურია" (ლანჩხუთი) — „არაგვი" (დუშეთი), „დინამო" (თბილისი) — „მრეტები" (თბილისი), „კახეთი" (თელავი) — „შევარდენი-1906" (თბილისი), „სამგურალი" (წყალტუბო) — „იმედი" (თბილისი), „იმედი" (ლაითური) — „ცხუმი" (სოხუმი), „კოლხეთი" (ხობი) — „მარგვეთი" (ზესტაფონი), „ქიზიყი" (წნორი) — „მზიური" (გალი), „მალაროელი" (ჭიათურა) — „ოდიში" (ზუგდიდი), „დურუჯი" (ყვარელი) — „ამირანი" (ოჩამჩირე), „ტორპედო" (ქუთაისი) — „ანცი" (თბილისი), „გორდა" (რუსთავი) — „საპოვნელა" (თერჯოლა), „კოლხეთი-1913" (ფოთი) — „ალაზანი" (გურჯაანი).

პირველი მატჩები გაიმართება 30 სექტემბერს, განმეორებითი — 4 ნოემბერს.

**რამინ ჟურაშვილი**

## გათამაშების ცხრილი

### უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 17 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 5 | 5 | 0 | 0 | 12-1 | 15 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 6 | 3 | 2 | 1 | 17-9 | 11 |
| „გორდა" (რუსთავი) | 5 | 3 | 2 | 0 | 18-12 | 11 |
| „კოლხეთი-1913" (ფოთი) | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| „შევარდენი-1906" (თბილისი) | 5 | 3 | 0 | 2 | 11-4 | 9 |
| „დილა" (გორი) | 5 | 3 | 0 | 2 | 9-8 | 9 |
| „ბათუმი" | 4 | 2 | 1 | 1 | 8-5 | 7 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| „მარგვეთი" (ზესტაფონი) | 4 | 2 | 0 | 2 | 10-9 | 6 |
| „სამტრედია" | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| „მრეტები" (თბილისი) | 4 | 2 | 0 | 2 | 7-8 | 6 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 5 | 2 | 0 | 3 | 8-13 | 6 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 4 |
| „კახეთი" (თელავი) | 5 | 1 | 1 | 3 | 12-14 | 4 |
| „ცხუმი" (სოხუმი) | 5 | 1 | 1 | 3 | 10-16 | 4 |
| „იბერია" (ხაშური) | 4 | 1 | 0 | 3 | 5-12 | 3 |
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 1 | 0 | 0 | 1 | 1-4 | 0 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |
| „მზიური" (გალი) | 2 | 0 | 0 | 2 | 3-10 | 0 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 3 | 0 | 0 | 3 | 4-16 | 0 |

* * *

# მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით

ევროპის სტადიონებზე ამ დღეებში გაიმართა 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის რამდენიმე შესარჩევი მატჩი.

**I ჯგუფი.** შვეიცარიელმა ფეხბურთელებმა უმასპინძლეს შოტლანდიის გუნდს და გაიმარჯვეს — 3:1.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 2 | 2 | 0 | 0 | 9:1 | 4 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | 0 |
| იტალია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| მალტა | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |

**II ჯგუფი.** ნორვეგიისა და სანმარინოს გუნდების შეხვედრა გამანადგურებელი ანგარიშით — 10:0 მოიგეს ნორვეგიელებმა.

**III ჯგუფი.** აქ შედგა ორი მატჩი: ირლანდიელებმა შინ ანგარიშით 4:0 დაამარცხეს ლატვიის გუნდი, ჩრდილოეთ ირლანდიისა და ალბანეთის გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს ირლანდიელებმა — 3:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 4 |
| ჩრ. ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 3 |
| ლიტვა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 3 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 2 |
| ალბანეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 1-8 | 2 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ლატვია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |

**IV ჯგუფი.** უელსისა და ფარერის კუნძულების გუნდების შეხვედრაში უელსელთა უპირატესობა აშკარა იყო — 4:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 12-1 | 4 |
| უელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 2 |
| კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 2 |
| ჩეხეთ-სლოვ. | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| ფარერის კ-ბი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-16 | 0 |

**V ჯგუფი.** ლუქსემბურგის ფეხბურთელებმა შინ წააგეს უნგრეთის ნაკრებთან — 0:3 (უნგრელთაგან თავი გამოიჩინეს კოვაჩმა (2) და დეტარიმ.

23 სექტემბერს დანიშნული იუგოსლავიისა და რუსეთის გუნდების შეხვედრა ჯერჯერობით გადადებულია. გამორიცხული არ არის, რომ იუგოსლავიის ნაკრებს აუკრძალავენ შესარჩევ მატჩებში მონაწილეობას.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 2 |
| საბერძნეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 2 |
| ისლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 2 |
| რუსეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| იუგოსლავია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

## საერთაშორისო მატჩები

გაიმართა რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა, რომელთგან დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპის ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის მატჩმა კოპენჰაგენში. წლეულს, 26 ივნისს დანიელებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში ანგარიშით 2:0 დაამარცხეს გერმანელები, ახლა კი შინ მიიღეს მეტოქე და დაძაბულ ბრძოლაში წააგეს — 1:2. დანიელთაგან ბურთი გაიტანა ელსტრუპმა, გერმანელთაგან — რიდლემ და ეფენბერგმა.

ასევე უკიდურესად დაძაბული იყო ჰოლანდიისა და იტალიის გუნდების შეხვედრა ჰოლანდიის ქალაქ ეინდჰოვენში. წარმატებას აქაც სტუმრებმა, იტალიელმა ფეხბურთელებმა მიაღწიეს — 3:2.

საინტერესოა, რომ თავდაპირველად დაწინაურდნენ ჰოლანდიელები (ბერგკამპმა ორი გოლი გაიტანა სტუმრების კარში), შემდგომში უპირატესობამ იტალიელთა მხარეს გადაინაცვლა, ერანიომ გაქვითა ერთი ბურთი, რ. ბაჯომ (პენალტით) — მეორე, ბოლოს კი ვიალიმ მესამედ აიღო ჰოლანდიელთა კარი.

ესპანელებმა საკუთარ მინდორზე მეტად საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ინგლისის ნაკრები. გოლი გაიტანა ფონსეკამ.

რაგბი

# შეგვიძლია იმედიანად ვიყოთ

## მეხუთე „შვიდკაცა"

**12. IX.** საქართველო (საშვიდკაცო ნაკრები) — „ვესტა" (თბილისი) 28:0, „ხარები" (რუსთავი) — „ვარსკვლავები" (თბილისის კლუბების ნაკრები) 10:0, „შევარდენი" (აგრარული უნივერსიტეტი) — „უოჩები" (ტექნიკური უნივერსიტეტი) 38:5; საქართველო — „ხარები" 24:0, „ვესტა" — „უოჩები" 35:12, „შევარდენი" — „ვარსკვლავები" 33:7; „ვესტა" — „ხარები" 19:12, „ვარსკვლავები" — „უოჩები" 14:14, საქართველო — „შევარდენი" 36:7.

**13. IX.** „შევარდენი — „ხარები" 17:15, „ვესტა" — „ვარსკვლავები" 28:8, საქართველო — „უოჩები" 48:0; საქართველო — „ვარსკვლავები" 36:5, „ხარები" — „უოჩები" 40:0, „შევარდენი" — „ვესტა" 7:3.

**საბოლოო კლასიფიკაცია:** 1. საქართველო (10 ქულა); 2. „შევარდენი" (8); 3. „ვესტა" (6); 4. „ხარები" (4); 5. „ვარსკვლავები" (1); 6. „უოჩები" (1).

**ბომბარდირთა სამეულები:** ქულებით — 1. ნ. იურინი („შევარდენი") 40; 2. ნ. ძაგნიძე (საქართველო) 36; 3. ა. ხვედელიძე (საქართველო) 35. ლელოებით — 1. ხვედელიძე 7; 2-3 პ. ძოწენიძე (საქართველო) და იურინი 6-6.

ქართული რაგბისთვის ახალი ხანა დადგა — თუ აქამდე ჩრდილოელ მეზობლებს მხოლოდ „საკავშიროდ" წოდებულ სარბიელზე ეჯიბრებოდა, ახლა იმავე მეტოქეებთან შერკინება შვიდკაცას მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით მოუწევს.

საქმე ისაა, რომ რაგბის ამ სახალისო ნაირსახეობის პირველი მსოფლიო პირველობა გაისად აპრილში ედინბურგის საქვეყნოდ ცნობილ „მარიფილდის" სტადიონზე უნდა გაიმართოს. სსრკ ფინალურ სტადიაზე თავიდანვე იყო მიწვეული. სპორტის სხვა სახეობების საერთაშორისო ფედერაციებისგან განსხვავებით, რაგბის საერთაშორისო საბჭომ (ირბ) რუსეთი კი არ სცნო სსრკ-ის სამართალმემკვიდრედ, არამედ ამ აწ უკვე არარსებული ქვეყნის ადგილის გასათამაშებლად შესარჩევი შეჯიბრება დანიშნა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც სსრკ-ის დაშლის შედეგად წარმოიშვნენ და იმავდროულად ირბ-ის წევრებიც არიან. ასეთი ქვეყანა რთხად ოთხი მოგროვდა: საქართველო, რუსეთი, ლატვია და ლიტვა.

საბჭოელყოფილი ოთხეულის ერთწრიანი შესარჩევი ტურნირი კვირას, 20 სექტემბერს გაიმართება მოსკოვში, „ფილის" სტადიონზე. საქართველოს რაგბის კავშირმა ამ შეჯიბრებისთვის ნაკრების შედგენა და მომზადება ქუთაისის „აიას" მწვრთნელ დუგლას კავთელაშვილს დააკისრა. მისივე მოსაზრებების გათვალისწინებით შემუშავდა ტრადიციული „ვაკის შვიდკაცის" გათამაშების სისტემაც, რომელიც ფინალების გამართვას არ ითვალისწინებდა. არადა, როგორც ერთ-ერთმა მაყურებელმა მოსწრებულად შენიშნა, „უფინალო შვიდკაცა იგივეა, რაც უპატარძლო ქორწილი".

ასე იყო თუ ისე, შეჯიბრებამ მაინც ერთობ საინტერესოდ, სანიმუშოდ და, რაც მთავარია, უჩხუბრად ჩაიარა. მართალია, ყველაფერი პირიქით გაკეთდა — ჯერ შეჯიბრების გამართვისა და შემდეგ ნაკრების შედგენის მაგივრად ჯერ ნაკრები შედგა, რომელიც შემდეგ კლუბებს იოლად გაუსწორდა, — მაგრამ მაყურებელმა წინა „შვიდკაცების" დროს ნანახზე უკეთესი თამაშები იხილა. თავი ისახელეს ერთობ მომძლავრებულმა რუსთაველმა „ხარებმა", თბილისის გაახალგაზრდავებულმა „ვესტამ" და „შევარდენმა". „შევარდენმა" ტურნირის ბოლო თამაში კიდეც მოუგო ძველ მეტოქეს და, ფაქტიურად, შვიდკაცაში თბილისის არაოფიციალური ჩემპიონობაც მოიპოვა.

რაც შეეხება ნაკრებს, იგი მართლაც უძლიერესი მოთამაშეებით დაკომპლექტებული გამოდგა, რასაც გათამაშების ცხრილის გარდა ბომბარდირთა სამეულებიც მოწმობენ. ერთი სიტყვით, შეგვიძლია იმედიანად ვიყოთ, რომ სსრკ-ის მემკვიდრეობის გაყოფისას „უმიწაწყლოდ" არ დავრჩებით. აი, ამ ნაშვიდკაცევს კი სულ მთლად დამოუკიდებლად გავალთ მსოფლიო სარბიელზე. 1995 წლის „ნაღდი" მსოფლიო თასის გათამაშების სტრუქტურა წელსვე, ნოემბერში ბრისტოლში გაირკვევა ირბ-ის პირველ საყოველთაო კრებაზე, იქ კი საქართველო ყოფილ საბჭოეთად აღარ მიიჩნევა!

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **საფრანგეთი.** ამ ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის 4 ტურის შემდეგ პირველ ადგილზე ქულათა მაქსიმუმით (8) და გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობით (10-1) დაწინაურდა „პარი სერ-ჟერმენი". 6-6 ქულა მოაგროვეს „ოსერმა", „მონპელიემ" „ნანტმა" და „მარსელმა", 4 ტურში ვერცერთი ქულა ვერ აიღო „ვალანსიენმა".

● **ინგლისი.** აქ გაიმართა 5 ტურის შეხვედრები. 11 ქულით წინაა „ბლეკბერნ როვერსი", 10-10 ქულა აქვთ „ქუინზ პარკ რეინჯერსს", „ნორვიჩ სიტის", 9-9 — „ევერტონს", „არსენალს" და „კოვენტრი სიტის". აუტსაიდერთა შორის იმყოფებიან ცნობილი კლუბები: „ნოტინგემ ფორესტი", „ტოტენჰემ ჰოტსპური" და „უიმბლდონი".

● **გერმანია.** 4 ტურის შემდეგ ჩემპიონატის ცხრილის სათავეში იმყოფებიან მიუნხენის „ბაიერნი", ლევერკუზენის „ბაიერი" (6-6 ქულა), ფრანკფურტის „აინტრახტი", დორტმუნდის „ბორუსია" და „შტუტგარტი" (5-5).

● **უკრაინა.** განვლილია 3 ტურის მატჩები. წინ არიან დონეცკის „შახტიორი" და ჩერნოვცის „ბუკოვინა" — 5-5 ქულა. შემდეგ მოდიან კიევის „დინამო", დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" და ხარკოვის „მეტალისტი" (4-4).

● **იტალია.** ამ ქვეყნის ჩემპიონატში პირველი წარუმატებლობის შემდეგ (მარცხი „უდინეზესთან" — 1:2), მილანის „ინტერმა" გაიმარჯვა „კალიარისთან" შეხვედრაში — 3:1. „ინტერის" შემადგენლობაში ამჟამად გამოდიან ურუგვაელი რუბენ სოსა, გერმანელი მატიას ზამერი, იუგოსლავი დერკო პანჩევი, რუსი იგორ შალიმოვი, აგრეთვე, სხვა კლუბებიდან გადმოსული იტალიელები სკილაჩი და დე აგოსტინი.

„მილანის" შემადგენლობაში მყოფ ჰოლანდიელებს რუუდ გულიტს, მარკო ვან ბასტენს და ფრანკ რაიკაარდს დაემატნენ ფრანგი ჟან-პიერ პაპენი, იუგოსლავი დეჯან სავიჩევიჩი, ხორვატი ზვონიმირ ბობანი და ამჟამად ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ჯანლუიჯი ლენტინი. „მილანმა" პირველ 2 ტურში გაიმარჯვა „ფოჯასთან" და „პესკარასთან" შეხვედრებში. ლიდერს კვალში მისდევენ „იუვენტუსი", „ტორინო", „ნაპოლი" და „სამპდორია".

### „დროის მანქანა“: ისევ ფიშერი, ისევ სპასკი

# „ნაღმი“ სხვაც ბევრი იქნება

რაც უნდა ილაპარაკოს ზოგიერთმა კომენტატორმა ფიშერ-სპასკის მატჩის ცალკეული პარტიების ხარისხზე, არავინ დავობს, რომ იგი განსაკუთრებული მოვლენაა ჭადრაკის ისტორიაში.

ორთაბრძოლას, გასაგებია, უამრავი კომენტატორი ესწრება, მათი რიცხვი ყოველდღიურადაც მატულობს. მატჩის ორგანიზატორმა ეზდიმირ ვასილჯვიჩმა, რომელიც, როგორც ჩანს, დიდი გაქანების საქმოსანია, ფიშერსა და სპასკის პირობა დაადებინა, ყოველი პარტიის შემდეგ, იქვე, სატურნირო დარბაზში, მინი პრეს-კონფერენცია მოაწყონ, მიუთითონ მეტოქის რომელი სვლა მოეწონათ და რომელი არა. ეს, პირდაპირ ვთქვათ, ფრიად სასიამოვნო სიახლეა. ამას გარდა, ფიშერი და სპასკი ვალდებულნი არიან კვირაში ერთხელ გამართონ დიდი პრეს-კონფერენციაც. ასე რომ, არც ჟურნალისტებს და არც გულშემატკივრებს ინფორმაცია არ აკლიათ.

„საუკუნის მატჩზე“ დასასწრებად ბევრი გამოჩენილი პიროვნება ჩამოდის. მიუხედავად ასტრონომიული ფასებისა, სატურნირო დარბაზი მაყურებლებს ვერ იტევს და საჭირო ხდება პარტიების სხვა ადგილებში დემონსტრირება.

„ადამიანი ვარ და ყოველივე ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის“ — შეუძლია თქვას ფიშერმა. იგი ხან მოღუშულია და დარბაზიდან გულშემატკივრების გაყვანას მოითხოვს, ხან კი პირიქით — მხიარულია და გულღია. როდესაც ფიშერმა დაინახა ბუდაპეშტიდან ჩამოსული ცნობილი უნგრელი დიდოსტატი, 81 წლის ანდრე ლილიენტალი, მას ასეთი უცნაური მისალმებით მიმართა: „ე-ეფ!“ რა არის ეს „ე-ეფ“? ეს გახლავთ ლილიენტალის უაღრესად ეფექტური, ლაზიერის შეწირვასთან დაკავშირებული მეოცე სვლა კაზაბლანკასთან 1934 წელს ჰასტინგსის საახალწლო ტურნირში, მეხსიერებაც ამას ჰქვია! მეორე მხრივ, ამაზე უკეთესი მისალმება ლილიენტალს, ეტყობა, არასოდეს მოუსმენია.

პარტიები კი მეტისმეტი სიმძაფრით ხასიათდება და მათ არაერთგზის დავუბრუნდებით. პირველმა შეხვედრამ, რომელშიც ფიშერმა იშვიათი ხელოვნება გამოამჟღავნა, მის მომხრეებში გარკვეული ეიფორია გამოიწვია. ძალიან ძლიერად თამაშობდა ამერიკელი მეორე პარტიაშიც, სადაც მან შავებით ძველინდურ დაცვას მიმართა, ერთხანს საკმაოდ უარესი პოზიციაც ჰქონდა, მაგრამ ყველა პრობლემა გადაჭრა და თამაში მოსაგებ ენდშპილში გადაიყვანა, აი აქ კი, 50-ე სვლაზე, ფიშერს, რომელსაც ზედმეტი ხარისხი ჰქონდა, არნახული, მძიმე შეცდომა მოუვიდა, პარტია „გააყაიმა“ და ერთბაშად დაკარგა წონასწორობა.

მესამე-მეექვსე პარტიები თითქოს ფიშერის მიერ კი არა, სულ სხვა პიროვნების მიერაა ნათამაშები. მათ უდავოდ აჩნევიათ დეპრესიის კვალი. როდის იყო, რომ თეთრებით ფიშერი უარეს პოზიციას იღებდა ესპანურ პარტიაში (მესამე და მეხუთე შეხვედრები)? როდის იყო, რომ იგი მეტოქეს ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე გამსვლელ პაიკებს უქმნიდა, რომელთაც შემდეგ ვეღარ აჩერებდა? როდის იყო, რომ ფიშერი შეწირვას შეწირვაზე ახორციელებდა, რაიმე სარგებლობას კი ვერ იღებდა? ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, იმ ზემოთ ნახსენები მძიმე შეცდომის შედეგი იყო, მაგრამ, ვიყოთ სამართლიანნი, ბორის სპასკის შესანიშნავი თამაშის შედეგიც გახლდათ.

ეჭვგარეშეა, სპასკი ამ შეჯიბრებისთვის თეორიული თვალსაზრისით საგანგებოდ მოემზადა და ახლა გაცილებით, შეუდარებლად უკეთ თამაშობს, ვიდრე ორი-სამი წლის წინათ. რაც უნდა იყოს, მას წვრთნის ალექსანდრე ნიკიტინი და ამდენად, მისთვის ნაცნობია ბევრი რამ გარი კასპაროვის „საშინაო ლაბორატორიიდან“, მეორე მხრივ, მას ეხმარება იური ბალაშოვი, რომელმაც ჩინებულად იცის, რა დევს ანატოლი კარპოვის „პორტფელში“. ეს მეტად ანგარიშგასაწევი ამბავია. ფიშერი კი, როგორც მოგეხსენებათ, ყოველთვის იყო ეული პიროვნება, რომელსაც სხვების თეორიულ მიღწევებს არავინ გაანდობს და რომელმაც ყველაფერზე თვით უნდა იზრუნოს. ამდენად, ლარი ევანსის ნათქვამი: „გენიალურ ფიშერს სეკუნდანტები არ სჭირდება“ შეიძლება ცოტა გადაჭარბებულიც კი იყოს. მართალია, ამჯერად ფიშერს მაინც ჰყავს სეკუნდანტი — ფილიპინელი ეუჯენიო ტორე, მაგრამ იგი ხომ აშკარად ჩამოუვარდება სპასკის ახლანდელ თანაშემწეებს.

არავინ იფიქროს, რომ, რადგანაც ამ მატჩში დიდი სიახლეა — პარტიის გადადება აღარ შეიძლება და იგი მაინცდამაინც ბოლომდე უნდა ითამაშო — სეკუნდანტების როლი შემცირდა. ეს ასე არ არის. გაიზარდა პარტიისათვის წინასწარ მომზადების როლი, ამდენად თითოეული მრჩევლის ფასიც.

მაინც რომელ დებიუტებს მიმართავენ მეტოქეები?

ფიშერი ესპანური პარტიის ძველთაძველი თაყვანისმცემელია. ვინ მოთვლის, რამდენი გამარჯვება მოიპოვა მან ამ პოპულარული დასაწყისით. ჩინებულ წიგნში — „როგორ ამარცხებდნენ ბობი ფიშერს“. დიდოსტატ ედმარ მედნისს მოჰყავს სულ 7 პარტია, როცა ფიშერი ამ დებიუტში დამარცხდა, თუმცა საწყისი სტადია აქ არაფერ შუაში იყო. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, — 1956 წლიდან მოყოლებული (როცა იგი 13 წლისა, პირველად დაწინაურდა ამერიკის შეერთებულ შტატებში) 1972 წლამდე (როცა თავი დაანება ჭადრაკს) ამ სახელოვანმა დიდოსტატმა წააგო 61 პარტია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ფიშერმა სულ 576-ჯერ ითამაშა, წაგებული პარტიების რიცხვი საკმაოდ მცირეა და ყოველ ასეთ შეხვედრაზე დაახლოებით ხუთი გამარჯვება მოდის.

ყოველივე ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ მატჩის პირველივე შეხვედრაში ფიშერმა სწორედ ესპანურ პარტიაში გაიმარჯვა. ასე არ უნდაო. და, უკვე მესამე შეხვედრაში სპასკის ესპანურ პარტიაზე კი არ უთქვამს უარი, მაგრამ სრულიად ახლებურ სქემას მიმართა (ეტყობა ისევ ნიკიტინისა და ბალაშოვის წყალობით!), რაც ფიშერისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მან რამრენიმე, რომ იტყვიან, „მეორეხარისხოვანი“ სვლა გააკეთა და საბოლოოდ, როგორც ადრე ვთქვით, ძლივს გადარჩა. დაახლოებით ასეთივე სცენარით წარიმართა მეხუთე პარტიაც, რომლის შემდეგ ფიშერი ისეთ დასკვნამდე მივიდა, რომ რაღაცა უნდა ეღონა.

ეს „ღონე“ კი გახლდათ ესპანური პარტიის ერთი ძველებური ვარიანტის „ნაფტალინიდან“ ამოღება. მოულოდნელობის ფსიქოლოგიური ეფექტი დიდი იყო. სპასკი როგორღაც დაბნეული გამოიყურებოდა, ფიშერი კი ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. ასე გათანაბრდა ანგარიში მეშვიდე პარტიაში — 2:2.

რა ხდება, როცა ფიშერი შავებით თამაშობს? აქ იგი, გასაგებია, გარკვეულ სიძნელეებს განიცდის. როცა ძველინდურ დაცვას ირჩევს, პრობლემებს აწყდება, რადგან სპასკი ერთ თავისებურ ვარიანტს მიმართავს, რომელსაც „ზემიშის სისტემა“ ეწოდება. რა ხანია, გამოჩენილი გერმანელი თეორეტიკოსი ფრიც ზემიში ამ ქვეყნიდან წავიდა, მისი ვარიანტი კი ძველინდური დაცვის წინააღმდეგ ფრიად ბასრ იარაღად რჩება. თუ იმავე ედმარ მედნისის წიგნში ფიშერის მიერ წაგებულ პარტიებს გადავხედავთ, აქ ზემიშის ვარიანტს საკმაოდ ხშირად შევხვდებით, თუ ზუსტი რიცხვი გნებავთ — ხუთჯერ. საკმაოდ უსიამოვნო პოზიცია მიიღო ფიშერმა, როცა შავებით ლაზიერის მიღებულ გამბიტს მიმართა.

ერთი სიტყვით, მატჩზე მძაფრი თეორიული დისკუსია მიმდინარეობს. აქ იმას აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინ სად და როგორ „ნაღმს“ წააწყდება. ასეთ „ნაღმებს“ მატჩის დამთავრებამდე ჩვენ ბევრს შევხვდებით.

თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ აქამდე მხოლოდ მატჩის საწყისი სტადია მიმდინარეობს, ადვილი წარმოსადგენია, წინ რა საინტერესო ამბები გველის. სპასკი, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, არაფრის დათმობას არ აპირებს. „მას არ სურს, სასტიკად დამარცხებული დარჩეს ჭადრაკის ისტორიაში“ — ასეთი თავისებური გამოთქმა იხმარა გარი კასპაროვმა. რაც შეეხება ფიშერს, მან თანდათან უნდა გააუმჯობესოს თავისი საბრძოლო მზადყოფნა. ვნახოთ!

მაინც რამდენი პარტია გათამაშდება ამ მატჩში? დიდოსტატმა მაკარიჩევმა მიიჩნია, რომ მან 30 პარტიას არ უნდა გადააჭარბოს. ახლა თამაშს სულ სხვა, გაცილებით უკომპრომისო ხასიათი აქვს, ვიდრე ვთქვათ კარპოვ-კასპაროვის პირველ, ულიმიტო მატჩში და კრიზისიც შედარებით უფრო ადრე უნდა დაიწყოს.

შეიძლება მაკარიჩევი სწორიც გამოდგეს. მას შემდეგ, რაც კვირას ფიშერმა შავებით მოიგო მერვე პარტია და ანგარიში გახდა 3:2 მის სასარგებლოდ, განმტკიცდა აზრი, რომ ყაიმების რიცხვი ამ მატჩში შედარებით მცირე უნდა გამოდგეს, სამი ყაიმი 8 პარტიაში მართლაც ძალიან ცოტაა.

**ზიზი ბამრეკელი**

### „სპორტლოტო“

**37-ე ტირაჟები**

„6 45“ — 4. 15. 20. 21. 26. 42
„5 36“ — 1. 6. 28. 31. 32
„6 56“ — 6. 15. 26. 27. 35. 49, 55

**36-ე ტირაჟების შედეგები**

„6 45“ — 6 ნომერი — 0;
5 ნომერი — 5.462 მანეთი;
4 ნომერი — 208 მანეთი
„5 36“ — 5 ნომერი — 23.810 მანეთი;
4 ნომერი — 463 მანეთი;
3 ნომერი — 22 მანეთი

# ახალი რეიტინგები

**ჩოგბურთში** აშშ-ის ღია ჩემპიონატის დამთავრებისთანავე შედგა ახალი კომპიუტერული რეიტინგი, რომელიც ვაჟებისთვის გამოიყურება ასე:

1. სტეფან ედბერგი (შვეცია) — 3.577
2. ჯიმ კურიე (აშშ) — 3.574
3. პიტ სამპრასი (აშშ) — 3.542
4. მაიკლ ჩანგი (აშშ) — 2.447
5. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — 2.103
6. ანდრე აგასი (აშშ) — 2.067
7. პეტრ კორდა (ჩეხეთ-სლოვაკეთი) — 2.066
8. ბორის ბეკერი (გერმანია) — 1.944
9. ივან ლენდლი (აშშ) — 1.867
10. უეინ ფერეირა (სამხ. აფრ.) — 1.806

კომპიუტერმა გამოიანგარიშა, აგრეთვე, ჩოგბურთელთა წლევანდელი ფინანსური მდგომარეობა. აქ ლიდერთა შორის არიან:

1. ჯიმ კურიე — 1.550. 045 დოლარი
2. სტეფან ედბერგი — 1.367.029
3. პიტ სამპრასი — 1.131.372

ქალთა შორის ფინანსურ საკითხებში ლიდერობენ:

1. მონიკა სელეში (იუგოსლავია) 1.732.352
2. არანტა სანჩესი (ესპანეთი) — 1.093.155
3. შტეფი გრაფი (გერმანია) — 1.068.026
4. გაბრიელა საბატინი (არგენტინა) — 824.065
5. ნატალია ზვერევა (ბელარუსი) — 519.144

# რატომ ყვირიან სპორტსმენები?

ჩვენს ტელემაყურებლებს არაერთხელ შეუმჩნევიათ, რომ მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელი ქალი მონიკა სელეში (იუგოსლავია) ძნელ ბურთს რომ მისწვდება, ხმამაღლა ამოიკვნესებს ხოლმე. იგივეს აკეთებს ახალგაზრდა ჩოგბურთელი ჯენიფერ კაპრიატი (აშშ). როცა ისინი ერთმანეთს ხვდებიან, ერთიც კვნესის და მეორეც...

მაყურებლები დააკვირდნენ გერმანელ მძიმე წონის ძალოსანს მანფრედ ნერლინგერს — როცა შტანგას აიტაცებს, ისიც ხმამაღლა კვნესის ხოლმე. რატომ?

ხომ არ არის დაკავშირებული ასეთი ემოციური ქმედება საკუთარი თავის გამხნევებასთან? როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ასეთი მსჯელობისთვის ჯერჯერობით საკმაო საფუძველი არა გვაქვს. ერთნი ამტკიცებენ, რომ ამოკვნესის დროს სპორტსმენებს მხოლოდ ზიანი მოსდით, რადგანაც სუნთქვის რიტმულობა ირღვევა და ისინი საკუთარ თავზე კონტროლს კარგავენ, სხვა აზრისაა გერმანელი ბირთვის მკვრელი კარლ-ჰაინც რიმი — ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე მეორე ადგილი დავიკავე. შევცდი. უფრო ძლიერად რომ მეყვირა, აუცილებლად ოქროს მედალს მოვიპოვებდი — თქვა მან.

### ტახტის მემკვიდრის სახელობისა

**ესპანელ** ველოსიპედისტს მიგელ ინდურაინს სპორტში თვალსაჩინო წარმატებებისათვის ასტურიის პრინცის პრემია მიენიჭა. ჟიურიმ, რომელსაც ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, იმედი გამოთქვა, რომ პრემიის ლაურეატი კვლავაც გაახარებს გულშემატკივრებს მაღალი შედეგებით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ინდურაინს კონკურსში მეტოქეობას უწევდნენ ისეთი სახელოვანი სპორტსმენები, როგორიცაა ამერიკელი კალათბურთელი ირვინ „მეჯიქ“ ჯონსონი, მისი თანამემამულე, მძლეოსანი კარლ ლუისი და ფეხბურთის ლეგენდარული „მეფე“, ბრაზილიელი პელე.

დღესდღეობით ინდურაინი პროფესიული ველოსპორტის კლასიფიკაციაში უძლიერესია. წლევანდელ სეზონში მან მოიგო ჯერ „ჯირო დ“იტალია“, მერე კი „ტურ დე ფრანსი“ (ზედიზედ მეორედ). ესპანელ ველოსიპედისტს გადაეცა 5 მილიონი პესეტის (5,5 ათასი დოლარის) ჩეკი.

შვილის ამ დიდ აღიარებასთან დაკავშირებით, ნავარას პროვინციის პატარა ქალაქ ვილიავაში ჟურნალისტებმა ინტერვიუ ჩამოართვეს ლაურეატის დედას, რომელიც სიამაყის გრძნობით პასუხობდა შეკითხვებს. ინდურაინს გულწრფელად მიულოცეს წარმატება ესპანეთის მეფემ ხუან კარლოს I, დედოფალმა სოფიამ და ტახტის მემკვიდრემ, ასტურიის პრინცმა ფილიპე დე ბურბონმა.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

**საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრაზე**

1. კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, მეცნიერების კანდიდატი — საქართველოს ისტორიის სპეციალობით, რუსული სექტორი

**ენების კათედრაზე**

1. კათედრის მასწავლებელი — 1 ერთეული, რუსული ენის სპეციალისტი

**ფიზიკური აღზრდის თეორიის კათედრაზე**

1. კათედრის გამგე — 1 ერთეული, დოცენტი, მეცნიერების კანდიდატი
2. კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული, მეცნიერების კანდიდატი
3. კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, ჭადრაკის სპეციალობით

**ჭიდაობის კათედრაზე**

1. კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, მეცნიერების კანდიდატი — ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სპეციალობით

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.
ტელ: 23-09-02.
თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი, №49.

# გელით ყველაზე მოდური სპეციალობები

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტთა-ინსტრუქტორ-მეთოდისტთა მომზადების ფასიანი კურსები 1992/93 სასწავლო წელს 21 სექტემბრიდან განახლებული პროგრამით აგრძელებს მეცადინეობას მასაჟისტის სპეციალობით. პროგრამაში გათვალისწინებულია: სამკურნალო, სპორტული, ჰიგიენური, კოსმეტიკური, საწვრთნო, ტრავმის აღდგენითი მასაჟი, თერმო-ჰიდრო პროცედურები, წერტილოვანი, უკონტაქტო მასაჟი, მანუალური თერაპია, გომეოპატიური საშუალებების გამოყენება და სხვ.

სწავლების ვადაა 218 აკადემიური საათი, მეცადინეობას ჩაატარებენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები საერთაშორისო სტანდარტებითა და გათვალისწინებული პროგრამით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სპეციალისტის მომზადების პრაქტიკულ მხარეს.

კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა დიპლომი, სურვილის მიხედვით ინგლისურ ენაზე შევსებული სერთიფიკატი, რომელიც იძლევა ნებისმიერ დაწესებულებაში მუშაობის უფლებას.

ამდაგვარი სხვა ანალოგიური კურსებთან შედარებით სწავლის ფასი მნიშვნელოვნად მცირეა. დაწვრილებით ცნობებს მიიღებთ დირექციაში: ჭავჭავაძის პროსპექტი 49-ა, ტელეფონი 29-39-62, 29-23-06.

**დირექცია**

საფეხბურთო კლუბი „დინამო“ თბილისი სამძიმარს უცხადებს გუნდის ფეხბურთელს გოჩა ჩიქოვანს მამის

**ომარ ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 380098, შ. კოსტავას, 14. ტელ: 99-56-47, 99-81-71. ინდექსი 66435 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში.